აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილება
სამართლებრივი აქტის პროექტის
განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ

ოქმი 16

20 ივნისი 2017 წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე
(09-01-08/40, 15.06.2017)

გამარტივებული წესით განხილვა

დასახელება

უმაღლესი საბჭოს წევრი *ნინო ჩხეტია*	*უმაღლესი საბჭოს წევრი* *ნინო ჩხეტია*
ავტორი	ინიციატორი

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია

წამყვანი კომისია

15.06.2017 წელი	წამყვანი კომისია: 21.06.2017 სხვა კომისიები: 21.06.2017	რიგგარეშე სესია
შემოსვლის თარიღი	საკომისიო მოსმენის ვადა	სხდომაზე განხილვის თარიღი

კომისია რომლის დასკვნა სავალდებულოა

უმაღლესი საბჭოს ბიურო ადგენს:
უმაღლესი საბჭოს კომისიებსა და ფრაქციებში დაიწყოს სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე: **დავით გაბაიძე**

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ჩაქვი, ბ. მეგენეიშვილის ქ. №25

16/06/2017
N 1641

1641-09-02-11-3-201706161535

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის უფროსს ბატონ გიორგი ბერიძეს

დ ა ს კ ვ ნ ა

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტთან დაკავშირებით (რეგ.N09-01-08/40. 15.06.2017წ.)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტის მიერ განხილულ იქნა ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი.

წარმოდგენილი პროექტი შეესაბამება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 79-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს.

მაია ხაჯიშვილი

დეპარტამენტის უფროსი

იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილება
სამართლებრივი აქტის პროექტის
განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ

ოქმი 16

20 ივნისი 2017 წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე
(09-01-08/44, 15.06.2017)

გამარტივებული წესით განხილვა

დასახელება

უმაღლესი საბჭოს წევრები *დავით გაბაიძე, ნინო ჩხეტია*	*უმაღლესი საბჭოს წევრები* *დავით გაბაიძე, ნინო ჩხეტია*
ავტორი	ინიციატორი

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია

წამყვანი კომისია

15.06.2017 წელი	წამყვანი კომისია: 21.06.2017 სხვა კომისიები: 21.06.2017	რიგგარეშე სესია
შემოსვლის თარიღი	საკომისიო მოსმენის ვადა	სხდომაზე განხილვის თარიღი

კომისია რომლის დასკვნა სავალდებულოა

უმაღლესი საბჭოს ბიურო ადგენს:
უმაღლესი საბჭოს კომისიებსა და ფრაქციებში დაიწყოს სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე: **დავით გაბაიძე**

საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს წევრი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ჩაქვი, ბ. მეგენეიშვილის ქ. №25

საორგანიზაციო და საქმისწარმოების
დეპარტამენტის უფროსს
ბატონ **გიორგი ბერიძეს**

ბატონო გიორგი,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 76-ე მუხლის პირველი პუნქტისა და მე-80 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტს – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 93^1 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, უმაღლესი საბჭოს ბიუროს მივმართავთ წინადადებით, რომ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი კანონპროექტის უმაღლესი საბჭოში განხილვა და მიღება მოხდეს გამარტივებული წესით – ერთი მოსმენით.

გთხოვთ, კანონპროექტს მისცეთ უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით გათვალისწინებული მსვლელობა.

დანართი: -4- ფურცელი

პატივისცემით,

ნინო ჩხეტია

09.01.08/90
15.06.2017
5 ფურცელი

<u>პროექტი</u>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

კ ა ნ ო ნ ი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №68, 14.12.2010) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. სამინისტრო უფლებამოსილია გააფორმოს ხელშეკრულება მესამე პირთან, რომელიც უზრუნველყოფს უძრავი ქონების პრივატიზების ინიციირებას და საჭიროების შემთხვევაში საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზების მომზადებას.“.

2. 6^1 მუხლის:

ა) მე-4 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. სამინისტროს დოკუმენტი ელექტრონული ფორმით შეიძლება გაიცეს სამინისტროს ვებგვერდის (www.mofea.ge) შესაბამისი ბმულების მეშვეობით.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე

ჩაქვი,
2017 წლის
№

განმარტებითი ბარათი
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მომზადება განპირობებულია „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე 2016 წლის 3 ივნისის №5154-რს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნით, რომლის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭოს უნდა უზრუნველყოს ზემოაღნიშნულ საკანონმდებლო ცვლილებასთან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტების შესაბამისობა, რაც თავის მხრივ გულისხმობს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონთან ტერმინოლოგიური თვალსაზრისით შესაბამისობაში მოყვანას.

კანონპროექტის მომზადება ასევე განპირობებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2017 წლის 21 აპრილს „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებით. „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულია ელექტრონული ხელმოწერის, ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების გამოყენების სამართლებრივ საფუძვლები, რომელმაც ჩაანაცვლა ახალი კანონის მიღებამდე მოქმედი „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ საქართველოს კანონი.

ვინაიდან „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ კანონი ყველა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკისა და მუნიციპალიტეტის დაწესებულებისათვის თანაბარ საწყისებზე ადგენს ელექტრონული დოკუმენტის ამონაბეჭდის იურიდიული ძალის საკითხსა და მისი დამოწმების წესს, მიზანშეწონილია, ზემოაღნიშნული საკითხების მხოლოდ ერთი სპეციალური კანონით (ამ შემთხვევაში - „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონი) მოწესრიგება და სხვა დარგობრივ საკანონმდებლო აქტებში დუბლირებული დებულებების ამოღება.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში არსებული დებულებები ელექტრონული დოკუმენტისა და მისი ამონაბეჭდის იურიდიული ძალის შესახებ უკვე დარეგულირებულია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით. კერძოდ, კანონის მე-4 მუხლის თანახმად:

ა) ელექტრონული დოკუმენტის გამოყენება შესაძლებელია ყველა შემთხვევაში, როდესაც მოითხოვება წერილობითი ფორმის მატერიალური დოკუმენტი, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი;

ბ) ელექტრონული დოკუმენტის ამონაბეჭდი არის ელექტრონული დოკუმენტის ასლი და მას ელექტრონული დოკუმენტის თანაბარი იურიდიული ძალა აქვს, თუ ის ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირის ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილი პირის მიერ არის დამოწმებული ან/და დადასტურებული.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის შესაბამისობის უზრუნველყოფა საქართველოს შესაბამის საკანონმდებლო აქტებთან.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტით კანონში არსებული ტერმინი - „საკადასტრო აზომვითი ნახაზი“ იცვლება ტერმინით - „საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზი“.

ერთგვაროვანი სამართლებრივი პრაქტიკის დანერგვის უზრუნველსაყოფად, წარმოდგენილი კანონპროექტით ასევე გათვალისწინებულია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონიდან იმ დებულებების ამოღება, რომელიც ეხება მართვის ავტომატური საშუალებით გაცემული დოკუმენტის და მისი ამონაბეჭდის იურიდიული ძალის საკითხს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

კანონპროექტი არ საჭიროებს დამატებით ხარჯებს.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

კანონპროექტი არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

კანონპროექტი არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი ფინანსური ვალდებულებები;

კანონპროექტის მიღება არ წარმოქმნის ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს ფინანსურ გავლენას იმ პირებზე, რომლებზედაც ვრცელდება აღნიშნული პროექტის მოქმედება.

გ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

გ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში;

კანონპროექტის შემუშავების პროცესში კონსულტაციები იქნა გამართული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლებთან.

გ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ;

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის ავტორი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი ნინო ჩხეტია.

ე) კანონპროექტის ინიციატორი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი ნინო ჩხეტია.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის იმ მუხლების მოქმედი სრული რედაქცია, რომლებშიც წარმოდგენილი კანონის პროექტით შედის ცვლილება

მუხლი 5. ქონების განკარგვის/სარგებლობის/მართვის უფლებით გაცემის ფორმები

1. ქონების განკარგვის / სარგებლობის / მართვის უფლებით გაცემის ფორმებია :

ა) პირობებიანი ან უპირობო აუქციონი ;

ბ) პირდაპირი მიყიდვა / გადაცემა ;

გ) პირდაპირი მიყიდვა / გადაცემა კონკურენტული შერჩევის საფუძველზე .

2. ქონების აუქციონის ფორმით განკარგვის / სარგებლობის / მართვის უფლებით გაცემას ახორციელებს სამინისტრო .

3. ქონების პირდაპირი მიყიდვის/გადაცემის ფორმითა და კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვის/გადაცემის ფორმით განკარგვა/სარგებლობის/მართვის უფლებით გაცემა ხორციელდება მთავრობის თავმჯდომარის გადაწყვეტილების საფუძველზე, ამ კანონის მე-12 მუხლით დადგენილი წესით, რის თაობაზეც გადაწყვეტილების მიღებამდე არა უგვიანეს სამი სამუშაო დღისა უმაღლეს საბჭოს წარუდგენს შესაბამის ინფორმაციას.

4. სამინისტრო უფლებამოსილია გააფორმოს ხელშეკრულება მესამე პირთან, რომელიც უზრუნველყოფს უძრავი ქონების პრივატიზების ინიციირებას და საჭიროების შემთხვევაში საკადასტრო აზომვითი ნახაზების მომზადებას.

მუხლი 6[1]. მართვის ერთიანი ავტომატური საშუალებები

1. სამინისტრო საქმისწარმოებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით იყენებს პროგრამულ უზრუნველყოფას და მართვის ერთიან ავტომატურ საშუალებებს.

2. სამინისტრო უფლებამოსილია, ნებისმიერი ინფორმაცია ან/და დოკუმენტი მიიღოს, გამოსცეს ან გასცეს მართვის ერთიანი ავტომატური საშუალებების გამოყენებით.

3. სამინისტრო უფლებამოსილია ელექტრონული ასლის სახით შეინახოს და გასცეს მათ მიერ შექმნილი ან მათთან დაცული ნებისმიერი დოკუმენტი.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის ელექტრონულ ასლსა და მის ამონაბეჭდს აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორიც ამ დოკუმენტს.

5. სამინისტროს მიერ გამოცემულ ან გაცემულ დოკუმენტში მონაცემები შეიძლება შეტანილ იქნეს მექანიკური ან/და ელექტრონული საშუალებებით.

6. სამინისტროში დაცული დოკუმენტის ქაღალდის ფორმით გაცემული ასლის დამოწმებისას ადასტურებენ ასლის დედანთან იგივეობას.

7. სამინისტროს დოკუმენტი, ელექტრონული ფორმით შეიძლება გაიცეს სამინისტროს ვებგვერდის (www.mofea.ge) შესაბამისი ბმულების მეშვეობით და მისი ამონაბეჭდის მიმართ ასლის დედანთან იგივეობის დამოწმებისათვის დადგენილი წესები არ გამოიყენება. ამ ამონაბეჭდს აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორიც თავად ელექტრონული ფორმით გამოცემულ დოკუმენტს.